საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

22.07. 2019 წ. ქ. თბილისი № 126

სს „სსე“-სთვის ოპტიკური ძარღვის დაზიანების წერტილის ვიზუალური აღმომჩენის შესყიდვის თაობაზე

SCADA-ს დეპარტამენტის 13/06/2019 წლის №8321 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოთხოვნილ იქნა ოპტიკური ძარღვის დაზიანების წერტილის ვიზუალური აღმომჩენის, 3 ცალი წითელი 30 mw ლაზერის შესყიდვა. სს „სსე“-ს თანამშრომლები აღნიშნულ მოწყობილობას სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე იყენებენ მოკლე მანძილებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაზიანების ადგილის დასადგენად, ასევე პაჩკორდების შესამოწმებლად.

სს „სსე“-ს ბაზრის კვლევისა და ბიუჯეტირების სამსახურმა ოპტიკური ძარღვის დაზიანების წერტილის ვიზუალური აღმომჩენის ფასების დასადგენად მიმართა საქართველოს ბაზარზე არსებულ 7 კომპანიას, თუმცა აღმოჩნდა, რომ არცერთმა მათგანმა არ გამოთქვა სურვილი კომერციული წინადადების წარმოდგენაზე. აღნიშნული საქონელი ასევე მოძიებულ იქნა ინტერნეტ საიტებზეც და აღმოჩნდა, რომ წითელი 30 mw ლაზერის შესყიდვა ასევე შესაძლებელია www.ebay.com ვებ-გვერდიდანანაც (ერთეულის ფასი - 36 აშშ დოლარი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის 1[1] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სს „სსე“-სთვის ოპტიკური ძარღვის დაზიანების წერტილის ვიზუალური აღმომჩენის შესყიდვა (3 ცალი) განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის 1[1] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის სამსახურებრივი ბიზნეს ბარათის საშუალებით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 108 აშშ დოლარს ლარს.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მმართველთა საბჭოს წევრს დ. ვარდიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უჩა უჩანეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.07.30 16:38:34 +04'00'